ქ. თბილისში, შ. ჩიტაძის ქ. №12/დ. ჭონქაძის ქ. №25-ში მდებარე შენობის არქიტექტურულ-მხატვრულ თავისებურებათა ზოგადი ანალიზი და შეფასება



ხელოვნებათმცოდნე: ქ. დარჩია

თბილისი
2012

ჩვენი საკვლევი ობიექტი, შიო ჩიტაძის ქ. №12/დანიელ ჭონქაძის ქ. №25-ში განთავსებული შენობა თბილისის ერთ-ერთ ისტორიულ უბანში, სოლოლაკში მდებარეობს. ნაგებობა უბნის ისტორიული განაშენიანებისათვის უცხო, XX საუკუნის პირველი ნახევრის საბჭოთა არქიტექტურის შენობათა რიცხვს მიეკუთვნება. როგორც ცნობილია, სოლოლაკი, რომლის განაშენიანებაც XIX საუკუნის მესამე მეოთხედში, ძირითადად, 1870-1900-იან წლებში ჩამოყალიბდა, ეკლექტური არქიტექტურისა და მოდერნის სტილის მეტად თვალსაჩინო სახლებით გამოირჩევა. მდიდრული იერის მქონე ევროპული ფასადები და ქართულ ყაიდაზე გამართული, ხის აივნიანი შიდა ეზოები, მხატვრული თვალსაზრისით მართლაც ღირებულ შენობებს ქმნის, რომელთან კონკურენციასაც ნაკლებად უძლებს ჩვენი კვლევის ობიექტი. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ნეოკლასიციზმის სტილში აგებული შენობა, თავის მხრივ, უდაოდ საინტერესოა და, როგორც ეპოქალური ხელოვნების ერთ-ერთი ნიმუში, მართებულად ატარებს უძრავი ძეგლის სტატუსს.



სურ. 1

ჩვენი საკვლევი ობიექტი, იმთავითვე საზოგადოებრივი ფუნქციის მქონე ნაგებობად იყო ჩაფიქრებული, საბჭოთა პერიოდში 1980-იანი წლების ბოლომდე, იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილ პოლიკლინიკას წარმოადგენდა. შენობა 1930-იანი წლების მიწურულსა და 1940-იანი წლების დასაწყისშია აგებული (სამწუხაროდ, ჩვენთვის არ არის ცნობილი მოცემულ ადგილას ძველად მდგარი ნაგებობები რომელნიც, სავარაუდოდ, 1930-იანი წლების ქალაქის რეკონსტრქუციას შეეწირა. XIX-XX საუკუნეების მიჯნის თბილისური ურბანული არქიტექტურისათვის დამახასიათებელ მასშტაბებს თუ გავითვალისწინებთ, ამგვარ მოზრდილ ფართობზე ორი სახლი მაინც იქნებოდა).



სურ. 2

1930-იანი წლების მიწურულს თბილისის საბჭოთა არქიტექტურაში სხვადასხვა საზოგადოებრივი ფუნქციის მქონე ნაგებობის რამდენიმე ტიპი ყალიბდება და, ვფიქრობთ, სწორედ მათ რიგში უნდა მოვიაზროთ ჩვენი კვლევის ობიექტიც. ამ დროს მასიურად იწყება უმაღლესი სასწავლებლებისა და კვლევითი ინსტიტუტების მშენებლობა (სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის კორპუსი – 1937 წ., მარქსის, ენგელსისა და ლენინის ინსტიტუტი – 1938 წ., სარკინიგზო ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიუტი – 1940 წ., პოლიტექნიკური ინსტიტუტის კორპუსები – 1939-1941

წწ.). იმავე პერიოდში იგება მთავრობის სახლი (1938წ.), 1100 მაყურებელზე გათვლილი კინოთეატრი შოთა რუსთაველის გამზირზე (1939 წ.) და გამომცემლობის შენობა, ე.წ. „წიგნის სახლი“ კ. მარჯანიშვილის ქუჩაზე (1937 წ.). ჩვენი საკვლევი ობიექტის ერთ-ერთ ყველაზე ახლო პარალელად სწორედ ეს უკანასკნელი გვევლინება (სურ. 3).



სურ. 3

ნაგებობები, პრაქტიკულად, საერთო მხატვრულ კონცეფციას მისდევს: შენობის კუთხის სიმრგვალეზე მოქცეული, მასიური სვეტნარით გახსნილი, ბალუსტრადით დაგვირგინებული ცენტრალური ნაწილი საფასადო კომპოზიციის მთავარ დომინანტს ქმნის და სრულად განსაზღვრავს სახლის მხატვრულ-არქიტექტურულ სახეს. ნაგებობათა იმპოზანტური იერი კარგად გამოხატავს ეპოქის მხატვრულ მიდრეკილებებს. თუმც უნდა ითქვას, რომ ჩვენი ობიექტი გამომცემლობის შენობის უფრო გამარტივებულ, “მოკლე რედაქციას” გვთავაზობს. დ. ჭონქაძის ქ. №25-ში განთავსებული ნაგებობა თავისი ზომით, შედარებით თავშეკავებული დეკორითა და მოცულობათა ნაკლები პლასტიკურობით (კოლოსალური ორდერის პორტიკს, რომელიც გაცილებით მეტ პლასტიკურობას სძენს ფასადს, ჩვენს შემთხვევაში, დეკორატიული ნახევარსვეტები ცვლის)

ანგარიშს უწევს ქუჩის შედარებით მცირე მასშტაბს და ცდილობს უკეთესად მოერგოს გაცილებით უფრო წყნარსა და კამერულ გარემოს (ამის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ).

ზემოთ ნახსენებ ორივე შენობას, ისევე როგორც მოცემულ პერიოდში საბჭოთა ნეოკლასიციზმის სტილში აგებულ, დაახლოებით მსგავსი იერ-სახის მქონე სხვა არაერთ ნიმუშს (შ. რუსთაველის გამზ. №1-ში განთავსებული საცხოვრებელი სახლი (1939 წ.), გმირთა მოედანზე მდებარე ცირკის შენობა (1939 წ.) და სხვ.) საერთო პროტოტიპი შეიძლება მოეძებნოს. მათგან ერთ-ერთ ვერსიად საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში შემავალი, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის დასახელება შეიძლება (სურ. 4).



სურ. 4

1830-იანი წლების მიწურულს იაკობ ზუბალაშვილის დაკვეთით აგებული, რუსული კლასიციზმის ეს თვალსაჩინო ნიმუში მოცულობათა სტრუქტურირების იმავე პრინციპით ხასიათდება, იმ განსხვავებით, რომ კლასიცისტური არქიტექტურული სტილისტიკის მიხედვით შექმნილი

შენობის აბრისი უფრო მკაფიო, კუთხოვან ფორმებს მისდევს, რის გამოც ფასადის ცენტრალური ნაწილი საერთო მასიდან წინ გამოსული პორტიკის ფორმას იღებს (სურ. 4). საბოლოო ჯამში ნაგებობა მთლიანობაში მეტი ტექტონიკურობით გამოირჩევა. რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების შექმნასთან ერთად 1930-იანი წლებიდან თანდათან უფრო ჩამოყალიბებულ სახეს იძენს საბჭოთა არქიტექტურა, რომლის ამბიციური მიზანი საკუთარი მასშტაბითა და საერთო იმპოზანტური იერით იმპერიის ძალის შთაბეჭდილების შექმნაა. ამისათვის ერთ-ერთი მისაღები ხერხი საბჭოთა ხელოვნებისათვის კლასიკური ხუროთმოძღვრული ელემენტების გამოყენება აღმოჩნდა. ინტერესის სფეროში კვლავაც XIX საუკუნის რუსული და ევროპული კლასიციზმი მოექცა; ასე იქმნება საბჭოთა ნეოკლასიციზმი (ხშირად სხვადასხვა ეკლექტიკური მინარევების მქონეც). სწორედ მის მხატვრულ-არქიტექტურულ სტილისტიკას მისდევს ჩვენი კვლევის ობიექტიც, რომელიც, შეიძლება ითქვას, ლოგიკურად აგრძელებს საბჭოთა არქიტექტურაში 1930-იანი წლების შუა ხნიდან თავჩენილ ტენდენციებს.



სურ. 5



სურ. 6

გეგმარება

შიო ჩიტაძისა და დანიელ ჭონქაძის ქუჩათა გადაკვეთაზე მდებარე, რკინა-ბეტონის კონსტრუქციით ნაგები სამსართულიანი ნაგებობის საკმაოდ დიდი მოცულობა ქუჩათა მრუდ ხაზს მიუყვება და გეგმით რუსული ასო "გ"-ს ფორმას შემოწერს (სურ. 2). შენობას გეგმაში არაერთგვაროვანი და ნაკლებწახნაგოვანი მოხაზულობა აქვს. ქუჩათა შეყრის ადგილას გამომავალი შენობის კუთხე გლუვდება და განიერი ნახევარწრის ფორმას იღებს (სურ. 1), რაც თავისებურ პლასტიურობას სძენს მოზრდილი ნაგებობის ოდნავ ტლანქსა და მოუხეშავ სხეულს. სახლის დ. ჭონქაძის ქუჩის მხარეს ჩაგრძელებული ფასადი კი იმავე მიზნით იკეთებს ნიშს: მისი მცირე ფრაგმენტი კედლის სიღრმეში ინაცვლებს და 2 მ-მდე სიღრმის უბეს წარმოშობს, რაც კედელს – პლასტიკას, ნაგებობას კი სტრუქტურულობას ჰმატებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამრეცი რელიეფის გამო, მოცემულ მხარეს შენობა, პრაქტიკულად, ოთხსართულიანია, რადგან ნახევარსარდაფი მიწის დონის კლებასთან ერთად სრულფასოვანი სართულის ზომებს იღებს (სურ. 7, 12).



სურ. 7

ფასადები

შ. ჩიტაძის ქ. №12/დ. ჭონქაძის ქ. №25-ში განთავსებული შენობა არსებული ისტორიული განაშენიანებისათვის ნაკლებად დამახასიათებელი ზომებისა და საბჭოთა ნეოკლასიცისტური ფასადის „ფეშენებელური“ იერის წყალობით მაშინვე იქცევს ყურადღებას. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო მანამ, სანამ მის გვერდით, ჩიტაძის ქუჩის გადაღმა რვასართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი არ დაიდგა (სურ. 8). ამ უკანასკნელმა, ცხადია, დაუკარგა მასშტაბი და ისტორიული კონტექსტი ქუჩის თავდაპირველ განაშენიანებას, მათ შორის, ბუნებრივია, მის უშუალო სიახლოვეს მდგარ საბჭოთა ნაგებობასაც, რომლის მოზრდილი მოცულობები და საერთო მხატვრულ-არქიტექტურული იერი იმთავითვე გათვლილი იყო ქუჩის არქიტექტურულ დომინანტობაზე.



სურ. 8

მიუხედავად ამისა, როგორც უკვე ითქვა ზემოთ, ჩვენი კვლევის ობიექტი იმავე პერიოდის მსგავსი ტიპისა და საზოგადოებრივი ფუნქციის მქონე

შენობებთან შედარებით, გაცილებით მეტად ითვალისწინებს გარემოს, მოცემულ შემთხვევაში, სოლოლაკის ქედის ერთ-ერთი მოსაზღვრე ქუჩის წყნარ, კამერულ ატმოსფეროსა და მასშტაბს. შესაბამისად, საფასადო კომპოზიციაც უფრო თავშეკავებულია, იგი ძირითადად ნეოკლასიცისტური არქიტექტურული სტილისათვის ჩვეული საფასადო მკულობის რეპერტუარით იფარგლება და არ მიმართავს დამატებით „ეკლექტიკურ მინარევებს“.



სურ. 9



სურ. 10

როგორც უკვე ითქვა ზემოთ, შენობის კუთხის სიმრგვალეზე მოქცეული, მასიური პილასტრებით შემკული, ბალუსტრადით დაგვირგინებული ცენტრალური ნაწილი საფასადო კომპოზიციის მთავარ დომინანტს წარმოადგენს. მოცემული არე კომპოზიციის ცენტრად აღიქმება და აშკარა პირველობას აცხადებს ფასადთა მოხილვის თანმიმდევრულობისას. შენობის კუთხემომრგვალებული კორპუსი, შეიძლება ითქვას, „მესამე ფასადს“ ქმნის, ამასთან, სწორედ იგია სახლის *მთავარი ფასადი* და შენობის საერთო მხატვრულ-არქიტექტურული იერის განმსაზღვრელი. შენობის მთავარი შესასვლელიც აქედანაა მოწყობილი, რაც კიდევ უფრო მეტ პარადულობას ანიჭებს მას.

სწორკუთხა კარ-სარკმლების თანაბარი რიტმით დანაწევრებული კედლის სიბრტყის წამყვან არქიტექტურულ-დეკორატიულ მოტივს მეორე და მესამე სართულის სიმაღლეზე აღმართული ე.წ. კოლოსალური

ორდერის ნახევარსვეტები ქმნის. პროფილირებულ, ნახევარწრიულ ბაზისს დაყრდნობილ პილასტრებს კორინთული ორდერის კაპიტელები ამშვენებს (სურ. 12).



სურ. 11



სურ. 12

შენობის მოცემულ ნაწილს მეორე სართულის დონეზე განთავსებული, ბეტონში ჩამოსხმულ რიკულებიანი, დეკორატიული აივანი შემოუყვება გარს (სურ. 1). მოცემული აივანი შენობის საფასადო კომპოზიციაში მკაცრი სიმეტრიის ლოგიკით განთავსებულ, მსგავსი ტიპის აივნებთან და სახლის დამაგვირგვინებელ ბალუსტრადასთან მოპასუხეობს (სურ. 9, 10, 15). შეიძლება ითქვას, რომ ბალიასინებიანი ბალუსტრადა ზუსტად ეპასუხება და გარკვეულ „კომპლექტს“ ქმნის კუთხეზე მომრგვალებულ ერთიან აივანსა და ფასადზე განთავსებულ აივნებთან. აივნების ძირითადი ფუნქცია კომპიზიციის სიმეტრიული წყობის აქცენტირებაა; მათი განლაგება საფასადო კომპოზიციის სიმეტრიულობის ტენდენციას მისდევს. ამასთან, ორნამენტულ კრონშტაინებს დაყრდნობილი, ბეტონისაგან ერთიანად ჩამოსხმული აივნები (სურ. 9, 10) დამატებით მხატვრულ-არქიტექტურულ აქცენტებს ქმნის ფასადზე.



სურ. 13

შენობის პირველი სართული (დ. ჭონქაძის ქუჩის მხარეს კი მეორე სართულიც) ნალესობაში გამოყვანილი რუსტითაა დაფარული. სწორკუთხა კარ-სარკმელთა ერთადერთ სამკობს აქ ზომით შეუფერებლად დიდი, ხაზგასმით დეკორატიული და ატექტონიკური საჭექი ქვის სამსიბრტყიანი ფორმა წარმოადგენს (სურ. 11). დანიელ ჭონქაძის ქუჩის გასწვრივ განვითარებულ ფასადზე გამომავალი ნახევარსარდაფის ნახევარწრიული ღიობები მთლიანად რუსტის დეკორატიულ წყობაშია ჩართული და მისითვეა მოსაზღვრული (სურ. 7, 13). კიდევ უფრო თავშეკავებულია მეორე და მესამე სართულის ღიობთა გაფორმება; მოცემულ შემთხვევაში კარ-სარკმელთა მოსაჩარჩოებლად მხოლოდ ნალესობით გამოყვანილი, სადად პროფილირებული საპირე გამოიყენება (სურ. 5, 6).



სურ. 14



სურ. 15

კედლის სიბრტყეს ასრულებს აკანთის ფოთლის მოტივის მცენარეული ორნამენტული კრონშტაინებით შემკული, შვერილი კარნიზი, რომელსაც ქვეშ სახეებიანი ლილვი და პროფილირებული ფრიზი შემოუყვება (სურ. 14, 15).



სურ. 16

ინტერიერი

შენობის ინტერიერში მოხვედრა სახლის მომრგვალებულ კუთხეზე გაჭრილი ცენტრალური პარადული კარით შეიძლება, რომელთანაც ბაზალტის ქვის კვადრებით ნაგებ, დაბალი, მასიური მოაჯირით მოსაზღვრულ, რამდენიმესაფეხურიან წრიულ კიბეს მივყავართ (სურ. 16).

ფასადის პარადულ ხასიათს ლოგიკურად აგრძელებს შენობის ინტერიერი, რომლის ცენტრალური სივრცე ორი სართულის სიმაღლეზე

წრიულად განთავსებული ღია სვეტნარით ეხსნება მნახველს და სადღესასწაულო ხასიათის მისაღებს, ერთგვარ ვესტიბიულს ქმნის (სურ. 17, 18). სადად პროფილირებულ ბაზისს დაყრდნობილი ტოსკანური ორდერის სვეტებს მარტივი მცენარეული ორნამენტით დეკორირებული კაპიტელი ამკობს (სურ. 19). სვეტები წყვილ-წყვილად ჯგუფდება წრიული სივრცის გარშემო, რის გამოც მოცემული კომპოზიცია კლასიკური ანტიკური არქიტექტურის ინტერიერებსათვის დამახასიათებელ კომპოზიციურ წყობას გვაგონებს (მაგ.: რომის პანთეონის ტაძრის შიდა სივრცეს). ამ თემას განსაკუთრებით აქტიურად მიმართავს XIX საუკუნის დასავლეთ ევროპული თუ რუსული კლასიციზმის არქიტექტურული სტილი, შესაბამისად, იგი მისაღები ხდება მოგვიანო ხანის საბჭოთა ნეოკლასიციზმისთვისაც. ინტერიერის ამგვარი გადაწყვეტა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს შენობის ნეოკლასიცისტურ ესთეტიკასა თუ საერთო მხატვრულ-არქიტექტურულ კონცეფციას.



სურ. 17



სურ. 18



სურ. 19



სურ. 20

ნაგებობის შიდა სივრცის მხატვრულ გადაწყვეტაში გამომკრთალი ამბიციის მიუხედავად, არქიტექტურულ ელემენტთა შესრულების ტექნიკური თუ მხატვრული ხარისხი არც ისე მაღალია. მაგალითად, მოზაიკურად სხმული იატაკი (სურ. 20, 21) ტექნიკურად და ესთეტიურადაც აშკარად ჩამორჩება მოზაიკური იატაკის მხატვრულ დონეს, რომლის ხილვასაც XIX-XX საუკუნეების თბილისური საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს ინტერიერებში ვართ ჩვეულნი. იგივე შეიძლება ითქვას სვეტის კაპიტელის ორნამენტის კვეთასა თუ დეკორატიული მოტივის მხატვრულ დამუშავებაზე.



სურ. 21



სურ. 22

თავდაპირველად შენობაში არ იყო გათვალისწინებული ლიფტით მომსახურება; კიბის უჯრედში ჩაშენებული ლიფტი (სურ. 21) 1970-იანი წლების დანამატია. სავარაუდოდ, გვიანდელია მეორე სართულის დონეზე განთავსებული ღია გალერეის ლითონის მოაჯირიც.

შიდა ეზო

შიდა ეზოში მოხვედრა შ. ჩიტაძის ქუჩიდან, შენობის კიდეში გაჭრილი თაღოვანი გვირაბითაა შესაძლებელი (სურ. 5). ნაგებობის ძირითადი მოცულობა ამ მხარეს ოთხსართულიანია, რადგან სახლის ნახევარსარდაფი, პრაქტიკულად, სრულფასოვანი სართულის ზომებს აღწევს (სურ.25). მთავარ ფასადთან შედარებით ეზოს ფასადი გაცილებით უფრო სადა და თავშეკავებულია. კედლის სიბრტყე სრულიად შეუმკობელ, სწორკუთხა კარ-სარკმელთა ხშირი, მწყობრი რიგითაა დაცხრილული (სურ. 23, 24, 25), რის გამოც მკაფიოდ შეიგრძნობა კედლის ერთიანი მასა. ნაგებობა თითქმის მთლიანად ითვისებს არსებულ სივრცეს, მის გაყოლებაზე განთავსებულ ეზოს კი ვიწრო ზოლიღა რჩება.



სურ. 23



სურ. 24



სურ. 25



სურ. 26

უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებული სახეცვლა ჩვენი საკვლევი ობიექტის ეზოს ფასადს არ შეხებია. შედარებით გვიანდელია (სავარაუდოდ, 1970-იანი წწ.) ფასადის მცირედ მომრგვალებულ კუთხეზე მიდგმული, სამეურნეო ფუნქციის მქონე ორსართულიანი კუბური მოცულობა (სურ. 24). იგი, სამწუხაროდ, ფარავს სახლის ეზოს ფასადის ერთადერთ „მხატვრულ-არქიტექტრულ შტრიხს“ – მთავარი ფასადის მომრგვალებული კუთხის საპასუხოდ მოგლუვებულ კუთხეს, რაც ნაგებობის საერთო სტრუქტურად გააზრების მცდელობაზე მიუთითებს. ცხადია, ასევე გვიანდელია ეზოს ფასადის გრძივ მოცულობაზე მიდგმული, აზბო-ცემენტის ფურცლებით გადახურული საჩრდილობელი, რომლის კუსტარული იერი მაშინვე ეცემა თვალში მნახველს.

რეკომენდაცია

წარმოდგენილი საპროექტო წინადადება გულისხმობს შიო ჩიტაძის ქ. №12/დანიელ ჭონქაძის ქ. №25-ში განთავსებული შენობის ადაპტაცია-რეაბილიტაციას მასში კერძო სასტუმროს განთავსების მიზნით. პროექტი ასევე ითვალისწინებს მოცემულ ნაგებობაზე ერთი სართულის დაშენებას.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ შენობის შიდა გეგმარება – ოთახთა და სათავსოთა განლაგების კორიდორული სისტემა არაჩვეულებრივად მიესადაგება ნაგებობის სამომავლო ფუნქციას; ამდენად, მისი სასტუმროს დანიშნულებით გამოყენება უდაოდ გამართლებულია.



სურ. 27. ფოტომონტაჟი

საპროექტო წინადადების მიხედვით, ჩვენი კვლევის ობიექტს ატიკის სართული ემატება. დამრეცკალთიანი სახურავის მქონე მანსარდის ნაცვლად ატიკის სართულის მოწყობა, ვფიქრობთ, სავსებით სწორი არქიტექტურული გადაწყვეტაა. ატიკი ზუსტად იმეორებს შენობის აბრისსა და სარკმლის ღიობთა განთავსების ინტენსივობასა და რიტმიკას. კედელს აყოლილი დაბალი პილასტრები კი ლოგიკურად აგრელებს შენობის

ნახევარსვეტების „დეკორატიულ არქიტექტონიკას“. ამდენად, დაშენების წარმოდგენილი ვერსია მისაღებად გვესახება შემდეგი მცირე შენიშვნების გათვალისწინებით:

1. სასურველია, მცირედით მაინც შემცირდეს ატიკის სართულის სიმაღლე, რაც ხელს შეუწყობს ახლადგაჩენილი მოცულობის ორგანულ კავშირსა და უკეთეს პროპორციულ შესაბამისობას ნაგებობასთან. პროექტის მიხედვით, ატიკის სართულის სრული სიმაღლე 3.90 მ-ია; ვფიქრობთ, მისი 3,50-3.60 მეტრამდე შემცირება საკმარისი იქნება უკეთესი შთაბეჭდილების შესაქმნელად;
2. ზედმეტად აქტიური გვეჩვენება ატკის პილასტრთა კაპიტელების პროფილირება, მათი პლასტიკა და ზომა თავად პილასტრის ტანთან შედარებით. სასურველია, „შესუსტდეს“ კაპიტელთა პროფილირება, რაც შეარბილებს კედლის სიბრტყიდან მათ დიფერენცირებას, შეასუსტებს შუქ-ჩრდილის თამაშს და, შესაბამისად, ხელს შეუწყობს ახალი მოცულობის ერთგვარ ნიველირებასა და მხატვრულ-არქიტექტურული მთლიანობის შთაბეჭდილების შექმნას.

მოცემული ნაგებობის რეაბილიტაცია სწორ ჩარევასა და მეთოდოლოგიურ მიდგომას საჭიროებს, რაც თავის მხრივ, ნათლად და მკაფიოდ გაწერილ რეკომენდაციებს მოითხოვს. ამდენად, ვფიქრობთ, რეკომენდაციათა ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი სასარგებლო და გასათვალისწინებელი იქნება სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში:

- ✓ საჭიროებისა და შესაბამისი დასკვნის არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია, ნაგებობის ერთიანი კონსტრუქციული გამაგრება;
- ✓ აუცილებელია, თავდაპირველი ფორმით აღდგეს ალაგ-ალაგ დაკარგული, კარ-სარკმელთა მაჩარჩოებელი, ლესვით გამოყვანილი საპირეები;

- ✓ აუცილებელია, თავდაპირველი ფორმით აღდგეს აივნებისა და ბალუსტრადის ბეტონში სხმული ბალიასინები, რომელთა ნაწილი დაზიენბულია, ხოლო ნაწილი – საერთოდ დაკარგული;





- ✓ რესტავრაცია უნდა ჩაუტარდეს აივნებისა და კარნიზის დაზიანებულ ორნამენტულ კრონშტაინებს;
- ✓ აუცილებელია, შენობის ჩამოცვენილი ნალესობის თავდაპირველი ფორმით აღდგენა;



- ✓ აუცილებელია, ახლით შეიცვალოს არსებული საწვიმარი მილები და კარგად გაიმართოს ვერტიკალური წყალგადამყვანი სისტემა;
- ✓ სასურველია, შენობის მთავარი შესასვლელი კარების თავზე განთავსებული, სავარაუდოდ, გვიანდელი საჩრდილობლის მოხსნა

ან შეცვლა ახლით, რომელიც უფრო შესაფერისი იქნება ფასადის მხატვრული სახისა თუ არქიტექტურული სტილისტიკისათვის;

- ✓ სასურველია, დღეს არსებული ლითონის ჭიშკარი შეიცვალოს ფასადის მხატვრულ იერთან სტილისტურად უფრო ახლოს მდგომი ახალი ალაყაფის კარით;
- ✓ ინტერიერში არსებულ მოზაიკურად სხმულ იატაკს უნდა ჩაუტარდეს რესტავრაცია;
- ✓ სასურველია, ჩატარდეს საფასადო ნალესობის ქიმიურ-ლაბორატორიული ანალიზი, რათა დადგინდეს ნაგებობის თავდაპირველი შეფერილობა და პირვანდელი ფერი დაუბრუნდეს შენობას;
- ✓ ცხადია, უნდა მოიხსნას ეზოს ფასადის გრძივ მოცულობაზე მიდგმული საჩრდილობელი;
- ✓ სასურველია, ასევე მოიხსნას ეზოს ფასადის კუთხეზე მიდგმული, ამჟამად უფუნქციოდ დარჩენილი, ორსართულიანი კუბური მოცულობა;
- ✓ სასურველია, მოწესრიგდეს შიდა ეზო, მოხდეს მისი ჯეროვნად გამწვანება.